# ოქმი N 3

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა.

2021 წლის 29 მარტი.

ქ. ხობი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ნიკოლოზ ვეკუა

3.იგორ გოგოლაძე

4.გოჩა ჯობავა

5.გენადი ქამანაია

6.აკაკი ხურცილავა

7.რამინ ხილაძე

8.გოჩა სიჭინავა

9.შადიმან ჭილაია

10.კონსტანტინე ნასარაია

11.მერაბ ნადარაია

12.კახა ლატარია

13.დავით ცინაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 17 მარტის N50/502107680 წერილის განხილვა („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 19 მარტის N50/5021083118 წერილის განხილვა („სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ" შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

3.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 19 მარტის N50/5021078103 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტის დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

4.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 26 მარტის N50/502108572 და 29 მარტის N50/502108819 წერილის განხილვა:

-" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N16 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

-"ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

-"ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

( მომხსენებელი: ვ. ქანთარია – ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

**კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 13 წინააღმდეგი არც ერთი;

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

**დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:**

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 17 მარტის N50/502107680 წერილის განხილვა („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

**მოისმინეს:** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" .

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით „ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა დასახლებების საერთო კრებები/კონსულტაციები, სადაც განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევა. მთავრობის ამავე დადგენილების თანახმად დასახლების საერთო კრებაზე შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რისთვისაც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამების

ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ ზემოთ აღნიშნული განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძველი არის, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654დადგენილება.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დანართი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტები. (დანართი თან ერთვის აქტს).

გამომსვლელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ნორმებთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13 წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 19 მარტის N 50 – 5021078102 და 24 მარტის N 50-5021083118 წერილების განხილვა („სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ" შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას წერილი, სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 21-ე მუხლის შესაბამისად, სხვა მუნიციპალიტეტთან ერთობლივი პროექტის განხორციელებისათვის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

გამომსვლელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ნორმებთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს სთხოვა თუ საწინააღმდეგო აზრი არ იქნებოდა მიეცათ მერისთვის ხელმოწერის თაობაზე თანხმობა.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** - 13 წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

3.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 19 მარტის N 50-5021078103 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების ნუსხაში დამატებული იქნა 1 პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"

აღინიშნა, რომ პროექტით გათვალისწინებული რეაბილიტირებული გზა დააკავშირებს სენაკისა და ხობი მუნიციპალიტეტებს, ასევე ზუგდიდი - წალენჯიხა - ჩხოროწყუ - სენაკისა და ხობი - საჯიჯაო - ლესიჭინეს შიდა სახელმწიფოებრივ მაგისტრალებს, რომლითაც ინტენსიურად სარგებლობენ როგორც სენაკის, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 21 -ე მუხლის შესაბამისად, სხვა მუნიციპალიტეტთან ერთობლივი პროექტის განხორციელებისათვის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13 წინააღმდეგი - არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას.

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 26 მარტის N 50 – 502108572 და 29 მარტის N 50 – 502108819 წერილის განხილვა:

= „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N 16 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოსული ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 29 მარტის N 50 - 502108572 წერილი, სადაც მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, რომ საკრებულოს სხდომაზე არ იქნეს განხილული „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N 16 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

ზემოთ აღნიშნული წერილიდან გამომდინარე საკრებულოს მიერ არ იქნა საკითხი განხილული.

= „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი და დამატებითი ქონებების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი და დამატებითი ქონებების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ - საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით კულტურულ - საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრს უსასყიდლოდ უზუფრუქტის წესით, არსებობის ვადით გადაეცემა ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N 185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-4-ე სართულზე არსებული 18,8 კვ.მ ფართი, რომელიც გათვალისწინებულია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის პროექტებისა და აქტივების განხილვებს. ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N187-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 2330 კვ.მ ფართი საქმიანობის განსახორციელებლად და ჭალადიდის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული ორი ოთახი 16,67 და 16,77, საერთო ფართი 33,44 კვ.მ ჭალადიდის სასოფლო ბიბლიოთეკის განსათავსებლად.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები:

**მომხრე 13, წინააღმდეგი არც ერთი.**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

= „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, თხოვების ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტში 2020 წლიდან ფუნქციონირებს განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური", რომელიც მომსახურეობას უწევს 20 წლამდე შშმ ბავშვებს. ამ ეტაპზე განათლებისა და განვითარების ცენტრი ითხოვს თორსა - ღლავას ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე 92,18 კვ.მ და მეორე სართულზე 86,18 კვ.მ ფართს, ჯამში 178.32 კვ.მ რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დამატებით ქონებას (ს/კ 45.06.23.015) აღნიშნული ფართი საჭიროებს რემონტს, მათი განმარტებით რემონტს ჩაატარებს დონორი ორგანიზაცია, ხოლო მათზე პროგრამულად ბიუჯეტში თანადაფინანსებით გამოყოფილი თანხა მიმართული იქნება სხვა აუცილებელი საჭიროებებისთვის, კერძოდ კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურეობისათვის.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განხილული იქნა კომისიის მიერ და მიზანშეუწონლად მიიჩნია წარმოდგენილი სახით საკითხის საკრებულოს მიერ მიღება, გამომდინარე იქიდან, რომ კანონი არ იძლევა შესაძლებლობას დაინტერესებულ პირს, რომლის დამფუძნებელი ან 50% წილის მფლობელი არ არის მუნიციპალიტეტი, „თხოვების ფორმით უვადოდ გადაეცეს მოთხოვნილი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, კანონი ამის შესაძლებლობას უშვებს, მხოლოდ ორი წლის ვადით, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას მისი კორექტირების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 13, წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დამთავრების შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/